

BMJ Best Practice

ქრონიკული ღიარეის შეფასება

უშუალოდ პაციენტის მოვლის ადგილას



ბოლო განახლება: Apr 28, 2023

სარჩევი

მიმოხილვა	3
შეჯამება	3
თეორია	4
ეტიოლოგია	4
გადაუდებელი მდგომარეობები	6
ურგენტული საკითხები	6
დიაგნოზი	7
მიდგომა	7
დიფ. დიაგნოზის მიმოხილვა	11
დიფერენციული დიაგნოზები	13
გაიდლაინები	40
ონლაინ რესურსები	41
წყაროები	42
სურათები	51
განმარტება	53

შეჯამება

ქრონიკული დიარეა განიმარტება, როგორც დღეში ≥ 3 თხევადი განავალი, 4 კვირაზე მეტის განმავლობაში.[1] მიუხედავად იმისა, რომ განავლის წონა გამოყენებულია მეცნიერულ კვლევებში, კლინიკურ პრაქტიკაში ამ მაჩვენებელს დატვირთვა არ აქვს, რადგან ზოგიერთ პაციენტს აღენიშნება განავლის წონის მომატება (ნორმაზე მაღალი ფეკალური წონა - 200 გ/დღეში), მაგრამ განავლის ნორმალური კონსისტენცია, შესაბამისად, დიარეის ჩივილი არ ვლინდება.[2] დიაგნოსტიკა შესაძლოა გართულდეს, რადგან მრავალი ეტიოლოგია ვლინდება მსგავსად და ამ მდგომარეობის სიმძიმე შეიძლება იყოს როგორც კეთილთვისებიანი, ასევე სიცოცხლისათვის საშიში. შეფასების სისტემური მეთოდი, ხშირი მიზეზების ცოდნა და ლოკალური ეპიდემიოლოგიის აღქმა აუცილებელია ქრონიკული დიარეის სწორი და ეფექტური დიაგნოსტიკისათვის და მართვისათვის.[3] [4]

ეთიოლოგია

დიარეის გამომწვევი მიზეზების ანატომიური კლასიფიკაცია

მსხვილი ნაწლავის მიზეზებია:

- ნაწლავის ანთებითი დაავადება (წყლულოვანი კოლიტი, კრონის კოლიტი)
- მიკროსკოპული კოლიტი (ლიმფოციტური/კოლაგენური/ეოზინოფილური კოლიტი)
- ინფექციური გასტროენტერიტი (ბაქტერიული/ვირუსული/პარაზიტული)
- იშემიური კოლიტი
- მსხვილი ნაწლავის კიბო/მაინფილტრირებელი ავთვისებიანი წარმონაქმნი
- ტრანსპლანტი-მასპინძლის წინააღმდეგ დაავადება.

წვრილი ნაწლავის მიზეზებია:

- გლუტენური დაავადება-ცელიაკია
- კრონის დაავადება
- ნაღვლოვანი მარილების მალაბსორბცია
- ნაწლავური ზედაპირის ფერმენტების ნაკლებობა
- წვრილ ნაწლავში ჭარბი ბაქტერიული ზრდა
- რადიაციული ენტერიტი
- ეოზინოფილური ენტერიტი
- ლიმფომა
- ტროპიკული სპრუ
- ლიმფანგიექტაზია/ლიმფური დრენაჟის შეფერხება
- ცილის დაკარგვით გამომწვეული ენტეროპათია
- ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული მედიკამენტები, ენტეროპათია.

პანკრეასის უკმარისობის მიზეზებია:

- ქრონიკული პანკრეატიტი
- პანკრეასის კარცინომა
- ცისტური ფიბროზი.

ფუნქციონალური:

- გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი.

ენდოკრინული მიზეზებია:

- ჰიპერთირეოიდიზმი
- დიაბეტი
- ჰიპოპარათირეოიდიზმი
- ადისონის დაავადება
- ჰორმონის გამომყოფი სიმსივნეები (ვიპომა (ვაზოაქტიური ინტესტინალური პეპტიდი), გასტრინომა, კარცინოიდი).

სისტემური მიზეზებია:

- მედიკამენტების ეფექტები
- ალკოჰოლი

- აბეტალიპოპროტეინემია
- ღვიძლის შორსნასული დაავადება
- საერთო ვარიაბელური იმუნური დეფიციტი
- ამილოიდოზი.

სხვა შესაძლო მიზეზებია:

- ქირურგიული რეზექცია (მოკლე ნაწლავის სინდრომი) ან შუნტირება
- ფეკალური ჩაჭედევა (სიჭარბის დიარეა).

ურგენტული საკითხები

(იხ. დიფერენციული დიაგნოზები მეტი დეტალებისთვის)

ქრონიკული დიარეის შემთხვევათა უმრავლესობა ფასდება ამბულატორიულ პირობებში; გარკვეული ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, საჭიროა გადაუდებელი მიდგომა.

საგანგაშო ნიშნები

პაციენტებს, რომლებსაც აღენიშნებათ წონის სწრაფი კლება, დეჰიდრატაცია, სისხლდენა კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან, ანემია ან ძლიერი ტკივილი მუცლის არეში, უფრო ხშირად აღმოაჩნდებათ დიარეის სერიოზული მიზეზი და მათი გამოკვლევა საჭიროა სტაციონარში.

გამოკვლევისა და მკურნალობის გადაუდებლობა ეფუძნება სისტემურ ნიშნებს. გადაუდებელი გამოკვლევები ნაჩვენებია ნებისმიერი პაციენტისთვის, რომელიც ავლენს ტოქსიკურობის ნიშნებს (ტაქიკარდია, დეჰიდრატაცია, პირექსია ან ჰიპოტენზია). პაციენტი კლინიკაში უნდა განთავსდეს ჩამოთვლილი მიზეზებით:

- ინტრავენური რეჰიდრატაცია და ელექტროლიტური დისბალანსის შესწორება
- ინტრავენური ანტიბიოტიკები თუ ვლინდება ცხელება
- მუცლის ღრუს რენტგენოგრაფია, ტოქსიკური დილატაციის გამოსარიცხად
- მიმართვა ქირურგიული კონსულტაციისათვის
- ტოქსიკური დილატაციის გამორიცხვის შემთხვევაში, შესაძლებელია რიგიდული ან დრეკალი სიგმოიდოსკოპიის ჩატარება
- ტრანსფუზია, საჭიროებისამებრ.

მიდგომა

ქრონიკული დიარეის შეფასება შესაძლოა გართულდეს. ეფექტური გამოკვლევა საჭიროებს მნიშვნელოვან კლინიკურ შესაძლებლობებს. შეფასების სწორი მიდგომა გულისხმობს თავდაპირველად ყველაზე ხშირი და ყველაზე მძიმე მდგომარეობების გათვალისწინებას, ანამნეზისა და კლინიკური გამოვლინების მიხედვით. თუ თავდაპირველი შეფასებით ეტიოლოგია ვერ განისაზღვრა, შემდეგი ნაბიჯია სისტემური მიდგომით დიაგნოზის ძებნა - დიფერენციული დიაგნოსტიკა.

ანამნეზთან და სიმპტომებთან დაკავშირებული საკითხები

პაციენტის შეფასება იწყება დეტალური ანამნეზის შეკრებით. ყურადღება ექცევა სიმპტომებს, დანაწილის დროსა და ხანგრძლივობას, მოგზაურობის ისტორიას, თანმდევ სამედიცინო პრობლემებს, კვებას (ლაქტოზა, ფრუქტოზა, გლუტენი და ა.შ.), მედიკამენტების გამოყენებას.[4] განავლის კონსისტენციის დადგენაში დამხმარე როლი აქვს "ბრისტოლის განავლის სქემას".[5] [Bristol stool chart] (https://en.wikipedia.org/wiki/Bristol_stool_scale)

ანამნეზის ძირითადი კომპონენტებია:

- დიარეის ხანგრძლივობა: 4 კვირაზე მეტია ქრონიკული დიარეის შემთხვევებში[1]
- ეპიზოდების რაოდენობა დღეში: ≥ 3 თხელი განავალი დღეში ქრონიკული დიარეის დროს[1]
- სიმპტომების გამო ღამით გაღვიძება: ფუნქციონალური დაავადებები ნაკლებსავარაუდოა
- განავალში სისხლის არსებობა: შეიძლება მიუთითებდეს ნაწლავის ანთებით დაავადებაზე (IBD), ავთვისებიან სიმსივნეზე ან იშემიაზე.

დაკავშირებული სიმპტომებია:

- წონის კლება/ზრდაში ჩამორჩენა(მაგ., ცელიაკია, IBD, ავთვისებიანი სიმსივნე, წვრილი ნაწლავის ბაქტერიების გადაჭარბებული ზრდა, ქრონიკული პანკრეატიტი, ჰიპერთირეოზი, დიაბეტი)
- მუცლის ტკივილი (მაგ.: ცელიაკია, კრონის დაავადება, ავთვისებიანი მდგომარეობა)
- ყაბზობა, რომელსაც ენაცვლება დიარეა (მაგ., IBD, ფეკალური ჩაჭედვა, ჭარბ დენასთან ერთად)
- გულისრევა და ღებინება (მაგ.: წვრილი ნაწლავის კრონის დაავადება, წვრილი ნაწლავის ჭარბი ბაქტერიული ზრდა, დიაბეტი, განავლის ჩაჭედვა)
- ჰემატოქეზია ან მელენა (IBD, იშემია, ავთვისებიანი სიმსივნე)
- კანის ცვლილებები (ცელიაკია, ნაწლავის ანთებითი დაავადება).

დამატებითი არასპეციფიკური სიმპტომებია:

- სტეატორეა (მაგ.: პანკრეასის უკმარისობა, ცელიაკია, ღვიძლის დაავადება, გიარდიოზი)
- მუცლის შებერილობა/შეტეორიზმი (არასპეციფიკურია, მაგრამ შესაძლებელია მიუთითებდეს გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომზე და წვრილი ნაწლავის ჭარბ ბაქტერიულ ზრდაზე)
- აირების დაგროვება (არასპეციფიკურია, მაგრამ შესაძლებელია მიუთითებდეს გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომზე და წვრილი ნაწლავის ჭარბ ბაქტერიულ ზრდაზე)
- მუცლის ყურყური (არასპეციფიკურია)
- ანორექსია (არასპეციფიკურია)
- გახშირებული ინფექციები (საერთო ვარიანტული იმუნური დეფიციტი, აივ).

მედიკამენტების გამოყენებასთან დაკავშირებული დიარეის მიზეზებია:

- ლაქსატივების გამოყენება (შესაძლებელია უნებლიედ)
- პროტონული ტუმბოს ინჰიბიტორები

- ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული პრეპარატები (NSAID)
- ქინინი
- ანტიბიოტიკები (სიტოროხილვით გამოიჩინეთ Clostridium difficile ინფექციის რისკის კუთხით)
- გარკვეული ქიმიოთერაპიები და კიბოს სხვა მკურნალობები.[6]

ფიზიკური გამოკვლევა

გასინჯვის მონაცემები ძირითადად არასპეციფიკურია.

ძირითადი ნიშნებია:

- კანის გამონაყარი, როგორცაა ჰერპეტიფორმის დერმატიტი, კვანძოვანი ერითემა და განგრენოზული პიოდერმია, შეესაბამება ცელიაკიას ან IBD-ს.
- ლიმფადენოპათია ან წარმონაქმნი მუცლის ღრუში მიუთითებს ინფექციაზე ან ავთვისებიან მდგომარეობაზე
- რექტალური გამოკვლევით გამოვლენილი სისხლი, რაც მკვეთრად მიუთითებს ლორწოვანის დაზიანებაზე, როგორცაა IBD ან ავთვისებიანი სიმსივნე.

ლაბორატორიული შეფასება

ლაბორატორიული კვლევები ინდივიდუალურია, დაავადების რისკფაქტორების გათვალისწინებით: მაგალითად, პარაზიტული დაავადებები იშვიათია ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში, მოგზაურობის ანამნეზის გარეშე.


ბაზისური ლაბორატორიული კვლევები, რომლებიც ტარდება ყველა პაციენტთან, მოიცავს: სისხლის საერთო ანალიზს, გლუკოზას, ღვიძლის ფუნქციურ სინჯებს, C-რეაქტიულ ცილას, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციურ სინჯებს, ცელიაკიის სეროლოგიას, IgA დონეს, ჰემატოლოგიურ კვლევებს (B12, ფოლატი, ფერითინი). განავალში კალპროტექტინის განსაზღვრა შესაძლებელია ხელმისაწვდომობის შემთხვევაში. ნაჩვენებია, რომ ფეკალური კალპროტექტინი მუდმივად განასხვავებს IBD-ს გალიზიანებული ნაწლავის სინდრომისგან, რადგან მას აქვს კარგი უარყოფითი პროგნოზირებითი ღირებულება არადიაგნოსტიკური, სიმპტომური პაციენტების IBD-ის გამოსარიცხად.[4] [7][8] თუმცა, ფეკალური კალპროტექტინი ასევე შეიძლება გაიზარდოს კოლორექტალური კიბოს, კუჭ-ნაწლავის (GI) ინფექციის ზოგიერთ შემთხვევაში ან არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებისას, რაც ზღუდავს ტესტის სპეციფიკურობას.[4]

იმუნოკომპეტენტურ მასპინძლებში მხოლოდ რამდენიმე ვირუსული ან ბაქტერიული ინფექცია იწვევს ქრონიკულ დიარეას, თუმცა ზოგიერთი პარაზიტი, როგორცაა Giardia, ხშირია და უნდა შემოწმდეს განავლის ნიმუშები მიკროსკოპით, დაითესოს კულტურები და განისაზღვროს სენსიტიურობა. განავლის ნიმუშების რაოდენობა, რომელიც საჭიროა საკმარისი სპეციფიკურობის მისაღწევად, განსხვავდება დიაგნოსტიკური მეთოდის მიხედვით. ერთჯერადი განავლის ნიმუში შესაძლოა საკმარისი იყოს პირდაპირი იმუნოფლორესცენციის კვლევისთვის, ხოლო მიკროსკოპული ანალიზი საჭიროებს 3 ნიმუშს.


ენდოსკოპიური გამოკვლევა

ქრონიკული დიარეის შეფასებისთვის, ენდოსკოპია ღირებული დიაგნოსტიკური მეთოდი და ხშირად რუტინულად გამოიყენება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა პათოლოგია სახეზეა და საჭიროებს მკურნალობას, მაგალითად ქრონიკული ყაბზობის დროს (ეს ასევე გულისხმობს, რომ ლორწოვანი დაავადება ნაკლებსავარაუდოა).[9] ენდოსკოპია საშუალებას იძლევა IBD-ის დროს დაავადების სიმძიმე და გავრცელება მყისიერად შეფასდეს ვიზუალურად და პროგნოზული ინფორმაციის მოგვანოდოს.

ჰისტოლოგიური შეფასებით შესაძლებელია მაკროსკოპული და მიკროსკოპული კოლიტის დოკუმენტირება. კოლონოსკოპიით გამოვლენილი ანთება საჭიროებს მომდევნო გამოკვლევებს, მაგალითად წვრილი ნაწლავის შეფასებას კრონის დაავადებაზე ეჭვის შემთხვევაში. უარყოფითი კოლონოსკოპია საშუალებას გვაძლევს დავამშვიდოთ პაციენტები, რომელთაც IBD ან კიბოს საშიშროება აღენიშნებოდათ. თუ ეჭვია ცელიაკიაზე, შესაძლებელია გასტროსკოპიის ჩატარება თორმეტგოჯას ბიოფსიით, ერთსა და იმავე ვიზიტზე.



ცელიაკის დაავადების დროს ხალების ატროფიის ფოტომიკროგრაფი
გამოსახულება ეკუთვნის დანიელ ლეფლერს, MD და სიარან კელის, MD; გამოიყენებულია ნებართვით



ენდოსკოპიურად თორმეტგოჯა ნაწლავის ლორწოვანის ჩაზნექვა ცელიაკის დაავადების დროს და სხვა ლორწოვანი დაავადებების დროს, როგორცაა ვიარდიოზი
გამოსახულება ეკუთვნის დანიელ ლეფლერს, MD და სიარან კელის, MD; გამოიყენებულია ნებართვით

სეაგეაიბ

თუ პაციენტს აღენიშნება კუჭ-ნაწლავის სისხლდენის ნიშნები, ანემია, წონის მნიშვნელოვანი კლება, მას უნდა ჩაუტარდეს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ზედა ნაწილის და მსხვილი ნაწლავის ენდოსკოპია.

დიფ. დიაგნოზის მიმოხილვა

სშირი
წყლულოვანი კოლიტი
მიკროსკოპული კოლიტი (ლიმფოციტური კოლიტი და კოლაგენური კოლიტი)
ვირუსული, ბაქტერიული, პარაზიტული, აივ ენტეროპათია
გალიზიანებული ნაწლავის სინდრომი
მედიკამენტების ეფექტები
განავლის ჩაჭედვა
გლუტენური დაავადება-ცელიაკია
კრონის დაავადება
ნაღვლოვანი მარილების მალაბსორბცია
ნაწლავის კედლის ფერმენტების დეფიციტი (ლაქტოზა, ფრუქტოზა, სუქროზა, იზომალტაზა)
წვრილ ნაწლავში ჭარბი ბაქტერიული ზრდა
პანკრეასის უკმარისობა
ალკოჰოლი
ჰიპერთირეოიდიზმი
შაქრიანი დიაბეტი
რადიაციული ენტერიტი/კოლიტი
ეოზინოფილური ენტერიტი
ქრონიკული იშემიური კოლიტი
ქირურგიული ბაიფასი ან რეზექცია
იშვიათია
ანთების საწინააღდეგო არასტეროიდული მედიკამენტები, ენტეროპათია

იშვიათია

მაინფლტრირებელი ავთვისებიანი მდგომარეობა

ცილის დაკარგვით გამონეული ენტეროპათია

ტრანსპლანტანტისა და მიმღები პაციენტის შეუთავსებლობა

ჰოჯკინის ლიმფომა

არაჰოჯკინის ლიმფომა

ტროპიკული სპრუ

ლიმფანგიექტაზია/ლიმფური დრენაჟის შეფერხება

ჰიპოპარათიროიდიზმი

ადისონის დაავადება

გასტრინომა

კარცინოიდული სიმსივნეები

ვიპომები

აბეტალიპოპროტეინემია

ღვიძლის შორსწასული დაავადება

საერთო ვარიაბელური იმუნური დეფიციტი

ამილოიდოზი

დიფერენციული დიაგნოზები

სშირი			
◇ წყლულოვანი კოლიტი			
ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
<p>ჰემატოქეზია და ტენემში ძირითადად მნიშვნელოვანია; დიარეა შეიძლება იყოს ხშირი, მაგრამ მცირე მოცულობის; თამბაქოს მოხმარების ბოლოდროინდელი შეწყვეტა დაკავშირებულია აქტიური წყლულოვანი კოლიტის გამოვლენასთან; შესაძლებელია ოჯახური ანამნეზის გამოვლენა [10] [11] [12] [13]</p>	<p>ძირითადად არასპეციფიკურია; ნაწლავის გარე გამოვლინებები როგორცაა კვანძოვანი ერითემა, განგრენული პიოდერმა, უვეიტი, ირიტი, ეპისკლერიტი და ართრიტი</p>	<p>»ენდოსკოპია/ კოლონოსკოპია ბიოფსიით: ლორწოვანის დაზიანებები, შეესაბამება კოლიტს და/ან ენტერიტს [10] გრანულომების არარსებობისას, რაც აღინიშნება კრონის დაავადების შემთხვევათა 30%-ში, წყლულოვანი კოლიტსა და კრონის დაავადებას შორის დიფერენცირება ხდება კლინიკური ნიშნებისა და მსხვილი ნაწლავის გარეთა დაზიანებების არსებობის მიხედვით.</p> <p>კრონის დაავადების დიაგნოზი კვლავ უნდა გამოირიცხოს კოლონოსკოპიის შემდეგ, დამატებითი კვლევებით წვრილ ნაწლავზე (კონტრასტული კვლევა/CT/MRI/ ენდოსკოპია კაფსულით), რადგან ამ კვლევებით შესაძლოა გამოვლინდეს სტრიქტურები წვრილ ნაწლავში.</p>	<p>»მუცლის ღრუს რადიოგრაფია: განივი მსხვილი ნაწლავი ≥ 6 სმ დიამეტრი, ტოქსიკური მეგაკოლონის შემთხვევაში კეთდება მწვავე, მძიმე დაავადების მქონე პაციენტებში, ტოქსიკური მეგაკოლონის შესაფასებლად.</p> <p>»განავალში კალპროტექტინის შემცველობის: მონიტორინგულია გვეხმარება ნაწლავის ანთებითი დაავადებისა და გალიზიანებული ნაწლავის სინდრომის გარჩევაში. [4] [7] [8] თუმცა, ფეკალური კალპროტექტინი ასევე შეიძლება გაიზარდოს კოლორექტალური კიბოს, კუჭ-ნაწლავის ინფექციის ან არასტეროიდული ანთების სანინაალმდეგო საშუალებების გამოყენებისას. [4]</p>

სშირი

◇ მიკროსკოპული კოლიტი (ლიმფოციტური კოლიტი და კოლაგენური კოლიტი)

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
ცელიაკის არსებობა ზრდის ეჭვს ლიმფოციტური კოლიტის შესახებ; დიარეა სშირი და მოცულობითია, შეიძლება უკავშირდებოდეს მსუბუქ ტკივილს მუცლის არეში, წონის კლებასა და დაღლილობას[14] [15] [16] [17] [18] [19] [20] [21] [22]	ძირითადად არასპეციფიკური	»კოლონოსკოპია მსხვილი ნაწლავის ბიოფსიით: კოლაგენური კოლიტი: გასქელებული სუბეპითელური კოლაგენური ზონა >7 მიკრომეტრი; ლიმფოციტური კოლიტი: გამოხატული სუბეპითელური ლიმფოციტური ინფილტრატი მსხვილი ნაწლავი ვიზუალურად ნორმალურია.[17]	»IgA-ქსოვილის ტრანსგლუტამინაზა (tTG): მომატებულია, თუ ასევე სახეზეა ცელიაკია (შეამოწმეთ ადგილობრივი სტანდარტული მაჩვენებლები) »ემოთაგოგასტროდუოდენოსკოპია თორმეტგოჯას ბიოფსიით: მომატებულია ინტრაეპითელური ლიმფოციტები, ვლინდება ხაოების ატროფია და კრიპტების შიპერპლაზია, თუ ასევე სახეზეა ცელიაკია

◇ ვირუსული, ბაქტერიული, პარაზიტული, აივ ენტეროპათია

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
დანყება სავარაუდოდ მწვავეა; შესაძლებელია ანამნეზში აღინიშნოს ბოლოდროინდელი მოგზაურობა, ავადმყოფი კონტაქტები, იმუნოსუპრესია[23] [24] [25] [26] [27] [28] [29] [30] [31]	ძირითადად არასპეციფიკურია; სპეციფიკური ინფექციები ხასიათდება სისტემური გამოვლინებებით (მაგ. გამონაყარი ტიფოიდური ცხელებისას)	»განავლის კულტურებში კვერცხები და პარაზიტები: დადებითია პათოგენურ ორგანიზმებზე[24] შესაძლოა საჭირო გახდეს რამდენიმე კვლევის განმეორება, შედეგის ღირებულების გასაუმჯობესებლად.	»თორმეტგოჯას ბიოფსია: დადებითია პათოგენურ ორგანიზმებზე[28] შეიძლება საჭირო გახდეს განსაკუთრებით იმუნოსუპრესიულ პაციენტებში, როდესაც სავარაუდოა microsporidium და სხვა მიკროორგანიზმების გამოვლენა. »CD4 უჯრედების რაოდენობა: ნორმალური ან დაბალი CD4 უჯრედების რაოდენობამ <200 x 10 ⁶ /ლ უნდა წარმოშვას ეჭვი Cryptosporidium-

სშირი			
◇ ვირუსული, ბაქტერიული, პარაზიტული, აივ ენტეროპათია			
ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
			<p>ის ქრონიკულ ინფექციაზე.[32] მაჩვენებლები ასევე გამოიყენება ოპორტუნისტული ინფექციების რისკის განსაზღვრის მიზნით და პროფილაქტიკური თერაპიის დანების შესახებ გადწყვეტილების მისაღებად.</p>
◇ გალიზიანებული ნაწლავის სინდრომი			
ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
<p>დიარეის ხანგრძლივი ანამნეზი, მუდმივი ან ხანგამოშვებითი, საგანგაშო ნიშნების ან ღამით გაღვიძების გარეშე; დიარეის შეტევები ემთხვევა შფოთვას/სტრესს, ოჯახურ ანამნეზში აღინიშნება გალიზიანებული ნაწლავის სინდრომი; შებერილობა, აირების დაგროვება და კრუნჩხვითი მუცლის ტკივილები მსუბუქდება დეფეკაციის შემდეგ; დიარეა შეიძლება მონაცვლეობდეს ყაზობის შეტევებთან ერთად; რომის კრიტერიუმები (გაიდლაინების ნაკრები, რომელიც აღწერს სიმპტომებს და იყენებს პარამეტრებს, როგორცაა სიხშირე და ხანგრძლივობა, რათა მივიღოთ უფრო სწორი დიაგნოზი)</p>	<p>მუცლის მსუბუქი შებერილობა ან მტკივნეულობა; პაციენტებს შეიძლება აღენიშნოთ ჰიპერლაგებია ან ალოდინია (ტკივილი არასპეციფიკურ სტიმულზე, მაგ. მუცლის კედლის მსუბუქ პალპაციაზე)</p>	<p>»კოლონოსკოპია: ნორმის ფარგლებში უნდა შესრულდეს, თუ პაციენტს აღენიშნება საგანგაშო ("წითელი ალმის") ნიშნები ან სიმპტომები (წონის სწრაფი კლება, დეჰიდრატაცია, სისხლდენა კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან, ანემია, მუცლის ძლიერი ტკივილი) ან თუ მონოდებულია კიბოს სურინინგის ზოგადი გაიდლაინებით.</p> <p>»IgA-ქსოვილის ტრანსგლუტამინაზა (tTG): ნორმის ფარგლებში რეკომენდებულია ზოგიერთ პოპულაციაში</p>	<p>»სუნთქვის ტესტი ჭარბი ბაქტერიული ზრდისა და ლაქტოზის აუტანლობის დროს: ნორმის ფარგლებში დადებითი პასუხის შემთხვევაში, შესაძლებელია მკურნალობა ანტიბიოტიკებით.</p> <p>»ემოთაგოგასტროდუოდენოს, ნორმის ფარგლებში შესაძლოა გამოირიცხო ცელიაკია ან ჰელიკობაქტერიული პილოროვასტრიტი.</p> <p>»განავალში კალპროტექტინის შემცველობის: დაბალი გვეხმარება ნაწლავის ანთებითი დაავადებისა და გალიზიანებული ნაწლავის სინდრომის გარჩევაში უდიაგნოზო,</p>

დიაგნოზი

სშირი

◇ გალიზიანებული ნაწლავის სინდრომი

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
შეიძლება გამოსადეგი იყოს გალიზიანებული ნაწლავის სინდრომზე ეჭვის დროს[33] [34] [35]		(ცელიაკის ოჯახური ანამნეზი ან სხვა აუტოიმუნური დაავადებების პირადი ანამნეზი, განსაკუთრებით 1-ლი ტიპის შაქრიანი დიაბეტი ან ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნური დაავადება) ცელიაკის გამოსარიცხად.	სიმპტომურ პაციენტებში.[4] [7][8]

◇ მედიკამენტების ეფექტები

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
პაციენტი იღებს მედიკამენტს, რომელიც იწვევს დიარეას; ხშირად, ესენია: პროტონული ტუმბოს ინჰიბიტორები, არასტეროიდული ანტიანთებითი პრეპარატები, მეტფორმინი და ქინინი; ხშირ შემთხვევებში, პაციენტები იღებენ რამდენიმე მედიკამენტს; დიარეის დაწყების თარიღი ვარიანტულია, ამიტომ რთულია გამომწვევი აგენტის დადგენა[1] [36] [37]	ძირითადად არასპეციფიკური	»საეჭვო მედიკამენტის შეწყვეტის ცდა: სიმპტომების გაუმჯობესება მედიკამენტის შეწყვეტის შემდეგ თუ ანამნეზის მიხედვით საეჭვოა სხვა შემთხვევაზე, კვლევები უნდა ჩატარდეს სავარაუდო გამომწვევი მედიკამენტის შეწყვეტის ცდის პარალელურად.	

F განავლის ჩაჭედვა

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
მსხვილი ნაწლავის ობსტრუქცია ავთვისებიანი მდგომარეობის ან	გამაგრებული ფეკალური მასა	»მუცლის ღრუს სერიული რენტგენი:	

სშირი

განავლის ჩაჭედვა

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
მძიმე მოტორული დაავადების გამო იწვევს განავლის ჩაჭედვას და სიჭარბის დიარეას, ძირითადად ვლინდება მძიმე ან გაუარესებული ყაბზობის ანამნეზი; სპაზმური ტკივილი, აირები, მუცლის ტკივილი[1]	შეინიშნება სწორი ნაწლავის გასინჯვისას	დიდი რაოდენობით განავალი	

◇ გლუტენური დაავადება-ცელიაკია

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
ცელიაკის ოჯახური ანამნეზი ან სხვა აუტოიმუნური დაავადების (განსაკუთრებით 1-ლი ტიპის შაქრიანი დიაბეტის ან ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნური დაავადების) პირადი ისტორია; პირველადი სიმპტომები, განსაკუთრებით მოზრდილებში, ვარიანტულია; კლასიკური სიმპტომებია: დიარეა, მუცლის ტკივილი, წონის კლება, დაღლილობა ან ლეტარგია, გულისრევა ან ღებინება, შებერილობა ან ჭარბი ნაწლავური გაზები[38] [39] [40] [41]	არასპეციფიკური; თუ აღინიშნა, ჰერპეტიფორმული დერმატიტი (ქავილი, ვეზიკულური გამონაყარი გამშლელ ზედაპირებზე) მიუთითებს დაავადებაზე; პირის ღრუს აფთოზური წყლული	»IgA-ქსოვილის ტრანსგლუტამინაზა (tTG): მომატებულია (>20 ერთეული) >95% სენსიტიური და სპეციფიკური, შეიძლება უარყოფითი იყოს IgA დეფიციტის მქონე პაციენტებში.[41]	»თორმეტგოჯას ბიოფსია: მომატებული ინტრაეპითელური ლიმფოციტები, ხაოების ატროფია, კრიპტების შიპერპლაზია საჭიროა IgA-tTG მომატების ყველა შემთხვევაში (ქსოვილოვანი ტრანსგლუტამინაზის სანინალმდეგო ანტისხეულები) ან მაღალი ეჭვის მქონე შემთხვევებში უარყოფითი IgA-tTG-ით.[41] »ენდოსკოპია კაფსულით: ხაოების ატროფია, ლორწოვანი მოზაიკური სურათი, ნაოჭების ჩაზნექა, მიკროკვანძოვანება

სშირი

ქრონის დაავადება

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
ქრონიკული მუცლის ტკივილი, შებერილობა, წონის კლება; ნაწლავის ანთებითი დაავადების ოჯახური ანამნეზი[10] [11] [12] [13]	ძირითადად არასპეციფიკურია; შეიძლება აღინიშნოს სტრიქტურებითა და ობსტრუქციით, მუცლის ღრუს წარმონაქმნები მეორადად გამოწვეული აბსცესის ან ფლემონას სახით, მუცლის ან პერირექტული ფისტულა, კანის დაზიანებები, როგორცაა კვანძოვანი ერთემა ან უფრო იშვიათად- განგრენული პიოდერმა	»ენდოსკოპია/ კოლონოსკოპია ბიოფსიით: ლორწოვანის დაზიანებები, შეესაბამება კოლიტს და/ან ენტერიტს[10] გრანულომების არარსებობისას, რაც აღინიშნება ქრონის დაავადების შემთხვევათა 30%-ში, წყლულოვან კოლიტსა და ქრონის დაავადებას შორის დიფერენცირება ხდება კლინიკური ნიშნებისა და მსხვილი ნაწლავის გარეთა დაზიანებების არსებობის მიხედვით.	»წერილი ნაწლავი - შემდგომი კვლევები: სტრიქტურები, დაზიანებები წერილ ნაწლავში »ენდოსკოპია კაფსულით: ანთება, დანყლულება »განავალში კალპროტექტინის შემცველობის: მოამტებულია გვეხმარება ნაწლავის ანთებითი დაავადებისა და გალიზიანებული ნაწლავის სინდრომის გარჩევაში.[4] [7][8] თუმცა, ფეკალური კალპროტექტინი ასევე შეიძლება გაიზარდოს კოლორექტალური კიბოს, კუჭ-ნაწლავის ინფექციის ან არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებისას.[4]

◇ ნაღვლოვანი მარილების მალაბსორბცია

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
თედოს ნაწლავის >50 სმ სექციის რეზექციის ქირურგიული ანამნეზი; შეიძლება აღინიშნოს ქირურგიული ანამნეზისა და თედოს ნაწლავის დაზიანების გარეშე (განიმარტება, როგორც ნაღვლოვანი მარილების იდიოპათიური	შეიძლება აღინიშნოს ქირურგიული ნაწიბურები მუცელზე	»75-სელენიუმ-23-სელენა-25-ჰომოტაუროქოლიური მუავას ტესტი (SeHCAT): თუ მე-7 დღეზე აღინიშნება შენარჩუნების დაბალ დონეზე, სავარაუდოა ნაღვლოვანი მარილების მალაბსორბცია	»საცდელი დაბალციხიმიანი, საშუალო-ჯაჭვიანი ტრიგლიცერიდებით შევსებული დიეტით: სიმპტომების მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი გაუმჯობესება მიუთითებს ნაღვლოვანი

დიაგნოზი

სშირი

◇ ნალვლოვანი მარილების მალაბსორბცია

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
მალაბსორბცია, სავარაუდოდ გამონვეულია ნალვლოვანი მარილების აპიკალური ტრანსპორტერის დაზიანებით თეძოს ნაწლავის ენტეროციტებში[1] [42] [43] [44] [45] [46] [47]		ნორმის ფარგლები განსხვავებულია კლინიკების მიხედვით.	მარილების დეფიციტზე ან ღვიძლის მძიმე დაავადებაზე »შრატში 7- ჰიდროქსიქოლესტეროლი: მოამტებულია »ქოლესთირამინის ცდა: დიარეა გაივლის

◇ ნაწლავის კედლის ფერმენტების დეფიციტი (ლაქტოზა, ფრუქტოზა, სუქროზა, იზომალტაზა)

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
დიარეა ხშირად ვითარდება შებერილობის, სპაზმური ტკივილის, აირების დაგროვების თანხლებით; დანყება ძირითადად უკავშირდება გამომწვევი ნივთიერების მიღებიდან 1 საათის გასვლას; კონკრეტული ზემოქმედების გამოვლენა მარტივია მხოლოდ ლაქტოზის შემთხვევაში; სიმპტომები ხშირად თანდათან ვითარდება და მძიმდება მოზრდილობის ადრეულ ხანებში; შეიძლება გამოვლინდეს უეცრად, მწვავე დაზიანების შემდეგ (ინფექციური გასტროენტერიტი)[48] [49] [50]	ძირითადად არასპეციფიკურია; წონის კლება და ანემია არ უნდა იყოს გამოვლენილი	»დიეტის ჩანერა ელიმინაციური დიეტით: სიმპტომების სწრაფი აღაგება გამომწვევი ნივთიერების მიღების შეწყვეტის შემდეგ	»წყალბადის სუნთქვის ტესტი: ბაზისურიდან >20 ნაწილაკი/ მილიონზე მეტი ზრდა 2 საათში სავარაუდოდ გამომწვევი შაქრის მიღების შემდეგ ვლინდება ბაქტერიული ფერმენტაცია, მასპინძლის მიერ შესამონებელი შაქრის მონელების ნაცვლად.[50] »ლაქტოზის ამტანობის კვლევა: სიმპტომების პრეციპიტაცია ლაქტოზის მიღებისას ნაკლებად სენსიტიური და სპეციფიკურია, ვიდრე სუნთქვის ტესტი.[50]

სშირი

◇ წვრილ ნაწლავში ჭარბი ბაქტერიული ზრდა

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
<p>დიაბეტის, გადატანილი ქირურგიის, ცელიაკის ან კრონის დაავადების ანამნეზი; სშირი სიმპტომებია შებერილობა, აირების დაგროვება, სპაზმური ტკივილი, მსუბუქი-საშუალო სიმძიმის დიარეა[1] [51] [52] [53] [54]</p>	<p>ძირითადად არასპეციფიკური</p>	<p>»სუნთქვის ტესტი: წყალბადის ან მეთანის (ან ორივეს) >20 ნაწილაკი/მილიონზე მეტი მატება 90 წუთის განმავლობაში მიიჩნევა დადებით შედეგად მსხვილ ნაწლავში მოუნელებელი შაქრების ბაქტერიული ფერმენტაცია იწვევს წყალბადის და მეთანის წარმოქმნას. თუ ფერმენტაცია მოხდება წვრილ ნაწლავში, უფრო ადრე იმატებს წყალბადი და მეთანი.[55] თუ გასტროინტესტინური მოძრაობა სწრაფია, შესაძლებელია ცრუ დადებითი შედეგის მიღება.[56]</p> <p>სენსიტიურობა არის 42.0% - 54.5% და სპეციფიკურობა არის 70.6% - 83.2%.[57]</p> <p>მტკიცებულება სუნთქვის ტესტის შესახებ წინააღმდეგობრივია, მაგრამ რეკომენდებულია ანტიბიოტიკების გამოყენებამდე პაციენტებში, რომელთაც უფრო სუსტი რისკფაქტორები აქვთ (მაგ. პროტონული ტუმბოს ინჰიბიტორის</p>	

სშირი

◇ წვრილ ნაწლავში ჭარბი ბაქტერიული ზრდა

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
		<p>გამოყენება, დიაბეტი, გასტროპარეზი).</p> <p>»ანტიბიოტიკების თერაპიული საცდელი მკურნალობა: სიმპტომების მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი გაუმჯობესება მიუთითებს წვრილი ნაწლავის ჭარბ ბაქტერიულ ზრდაზე რეკომენდებულია პირველი რიგის ჩარევად დიდი ბრიტანეთის გაიდლაინებით, რადგან სუნთქვის ტესტს სენსიტიურობა და სპეციფიკურობა დაბალი აქვს.[4]</p> <p>გამოყენება, როდესაც სუნთქვის ტესტი ხელმისაწვდომი არ არის და სხვა ეტიოლოგიები გამორიცხებულია.[53]</p>	

◇ პანკრეასის უკმარისობა

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
<p>პანკრეატიტი, ალკოჰოლის ბოროტად გამოყენება ან კისტოზური ფიბროზი ანამნეზში; დაწყება ჩვეულებრივ თანდათანობითი, მაგრამ პროგრესირებადი[1] [58] [59] [60]</p>	<p>ძირითადად არასპეციფიკური</p>	<p>»განავლის ელასტაზა: დადებითია, თუ ალინიმენება ≤ 200 მიკროგრამი/გ 70%-90% სენსიტიური და სპეციფიკურია. ეს არის პანკრეასის ფერმენტული დეფიციტის პირდაპირი ტესტი. დაბალი დონე მიუთითებს პანკრეასის</p>	<p>»განავლის ქემოტრიფსინი: დადებითია, თუ ალინიმენება ≤ 6 ერთეული/გ 50%-70% სენსიტიური და სპეციფიკურია. ეს არის პანკრეასის ფერმენტული დეფიციტის პირდაპირი ტესტი. დაბალი დონე</p>

სშირი

◇ პანკრეასის უკმარისობა

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
		<p>ზოგად ეგზოკრინულ უკმარისობაზე.[59]</p> <p>ზღვრული დონე მიახლოებითა, რადგან ზოგიერთ პაციენტს დაბალი მაჩვენებლით არ აღენიშნება მალაბსორბცია, ხოლო სხვებს მაღალი მაჩვენებლით უვლინდებათ სიმპტომები.</p>	<p>მიუთითებს პანკრეასის ზოგად ეგზოკრინულ უკმარისობაზე.[60]</p> <p>ზღვრული დონე მიახლოებითა, რადგან ზოგიერთ პაციენტს დაბალი მაჩვენებლით არ აღენიშნება მალაბსორბცია, ხოლო სხვებს მაღალი მაჩვენებლით უვლინდებათ სიმპტომები.</p> <p>»მუცლის ღრუს მაგნიტურ-რემონანსული ტომოგრაფია: შეიძლება გამოვლინდეს კალციფიკატები პანკრეასში ეს ქრონიკული პანკრეატიტის შედეგია, რომელიც პანკრეასის უკმარისობის წამყვან მიზეზს წარმოადგენს; საკუთრივ პანკრეასის უკმარისობისათვის დიაგნოსტიკური არ არის.</p> <p>»მუცლის კომპიუტერული ტომოგრაფიით: შეიძლება გამოვლინდეს კალციფიკატები პანკრეასში ეს ქრონიკული პანკრეატიტის შედეგია, რომელიც პანკრეასის უკმარისობის წამყვან</p>

სშირი

◇ პანკრეასის უკმარისობა

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
			<p>მიზმს წარმოადგენს; საკუთრივ პანკრეასის უკმარისობისათვის დიაგნოსტიკური არ არის.</p> <p>»პანკრეასის ულტრაბგერითი კვლევა: შეიძლება გამოვლინდეს კალციფიკატები პანკრეასში</p> <p>ეს ქრონიკული პანკრეატიტის შედეგია, რომელიც პანკრეასის უკმარისობის წამყვან მიზმს წარმოადგენს; საკუთრივ პანკრეასის უკმარისობისათვის დიაგნოსტიკური არ არის.</p> <p>»საცდელი მკურნალობა პანკრეასის ფერმენტების ჩანაცვლებით: სიმპტომების მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი გაუმჯობესება მიუთითებს პანკრეასის უკმარისობაზე საჭიროა სხვა ეტიოლოგიების გამორიცხვა.</p>

◇ ალკოჰოლი

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების ანამნეზი	ვლინდება ალკოჰოლის სუნი ან დადასტურებული ინტოქსიკაცია; ღვიძლის დაავადების	»ალკოჰოლის დონე სისხლში: შეიძლება მომატებული იყოს	»ღვიძლის ულტრაბგერითი კვლევა: შეიძლება გამოვლინდეს ჰეპატომეგალია,

სშირი

◇ ალკოჰოლი

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
	კლინიკური ნიშნები (მაგ: სიყვითლე, ობობისებრი ანგიომები, დუპურენის კონტრაქტურა, ხელისგულის ფრითემა, გინეკომასტია, ასციტი)	»LFT: ყველა პარამეტრი შეიძლება იყოს მომატებული	ცხიმოვანი ღვიძლი, ღვიძლის ციროზი, წარმონაქმნი ღვიძლში, სპლენომეგალია, ასციტი, პორტული ჰიპერტენზიის ნიშნები

◇ ჰიპერთირეოიდიზმი

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
შეიძლება აღინიშნოს სხვა აუტოიმუნური დაავადებების ანამნეზი, მადის მომატება, წონის კლება, სიცხის აუტანლობა და თმის ცვენა[61] [62] [63]	წვრილი ტრემორი, ჩიყვი, ეგზოფტალმი, ტაქიკარდია და ჰიპერტენზია ვლინდება მძიმე შემთხვევებში	»ფარისებრი ჯირკვლის მასტიმულირებელი ჰორმონი: შემცირებულია ფარისებრი ჯირკვლის მასტიმულირებელი ჰორმონის განსაზღვრა უნდა იყოს პირველადი ტესტი; თუ ეს არის სასაზღვრო ან ჩახშობილი, უნდა მოითხოვოს დამატებითი ტესტირება, როგორცაა თავისუფალი ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონები.[63]	»ფარისებრი ჯირკვლის თავისუფალი ჰორმონები: მომატებული »ფარისებრი ჯირკვლის რადიოაქტიური იოდის ან ტექნიციუმ-99-ის შეწოვის სკანირება: დიფუზურად მომატებული შეთვისება გრეივისის დაავადების დროს, შემცირებული შეთვისება ევანგელავე თირეოიდიტის შემთხვევაში

◇ შაქრიანი დიაბეტი

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
ძირითადად ცნობილია შაქრიანი დიაბეტის ანამნეზი; შეიძლება გამოვლინდეს გულისრევა და სწრაფი დანაყრების შეგრძნება (მიუთითებს გასტროპარეზზე, ხანგრძლივი	ძირითადად არასპეციფიკურია; დიაბეტის, ნეიროპათიის, ნეფროპათიისა და რეტინოპათიის მქონე პაციენტებში ხშირად ვლინდება	»HbA1c: 48 მმოლ/მოლ (6.5%) ან მეტი »გლუკოზა პლაზმაში: მოამტებულია »მოტორიკის კვლევები: კუჭის დაცლა, წვრილი ნაწლავის გადასვლის დრო, მსხვილი ნაწლავის კვლევები	

დიაგნოზი

სშირი

◇ შაქრიანი დიაბეტი

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
დიაბეტის ფონზე); ქრონიკული დიარეა იშვიათია, როგორც ახალგამოვლენილი დიაბეტის პირველადი სიმპტომი[64] [65] [66]	გასტროინტესტინურ სიმპტომებთან ერთად	(სიტცის მარკერული კვლევა, ანორექტული მანომეტრია): პათოლოგიის მტკიცებულება - სწრაფი ან ნელი ნაწლავური გადასვლა თუ პაციენტი აკმაყოფილებს რომის II ან III კრიტერიუმებს და არ აღენიშნება საგანგაშო სიმპტომები, როგორცაა სისხლდენა კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან, წონის კლება, ახალგამოვლენილი სიმპტომები ან რუტინული ლაბორატორიული პათოლოგიები, ძირითადად არ არის საჭირო დამატებითი გამოკვლევა ემპირიული თერაპიის დაწყებამდე.[35]	

◇ რადიაციული ენტერიტი/კოლიტი

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
მნიშვნელოვანი რადიაციული ზემოქმედება მუცლის ღრუზე, უმეტესად წინამდებარე ჯირკვლის დასხივების დროს მამაკაცებში და საშვილოსნოს კიბოს თერაპიისას ქალებში; სშირია ჰემატოქეზია[67] [68] [6]	ძირითადად არასპეციფიკური	»განავლის ანალიზი ფარულ სისხლდენაზე: შესაძლოა დადებითი იყოს წვრილი ნაწლავის რადიაციული ენტერიტის ფონზე შესაძლებელია დადებითი შედეგის მიღება, ხოლო მსხვილი ნაწლავის დასხივების შემდეგ	»წვრილი ნაწლავი - შემდგომი კვლევები: გასქელების, სტენოზის, აღჭვებიებისა და ზოგჯერ ფისტულების გამოვლენა მნიშვნელოვანი, მაგრამ არადიაგნოსტიკური კვლევაა ნორმალური კოლონოსკოპიითა და ენდოსკოპიით მიმდინარე წვრილი

სშირი

◇ რადიაციული ენტერიტი/კოლიტი

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
		<p>ძირითადად ვლინდება ჰემატოქეზია, რის გამოც განავლის ანალიზი ფარულ სისხლდენაზე საჭირო აღარ არის.</p> <p>»კოლონოსკოპია: ნორმალური ლორწოვანი სისხლძარღვოვანი ნიშნულების გაქრობა, მგრძობიარე ლორწოვანი და ტელეანგიექტაზიები პათოლოგია</p> <p>ძირითადად არადიაგნოსტიკურია და დიაგნოზი ისმება კლინიკური ნიშნების საფუძველზე.</p>	ნაწლავის პირველადი დაავადების დროს.

◇ ეოზინოფილური ენტერიტი

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
<p>კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნებისმიერი რეგიონი შეიძლება იყოს ჩართული, სიმპტომები არასპეციფიკური და ვარიანტულია, მათ შორის: მუცლის ტკივილი, გულისრევა, ღებინება და დიარეა; პაციენტს შეიძლება აღენიშნებოდეს სხვა ალერგიული მდგომარეობების, მათ შორის საკვების მიმართ მგრძობიარეობის ანამნეზი[69] [70] [71] [72] [73] [74]</p>	<p>ძირითადად არასპეციფიკური</p>	<p>»ენდოსკოპია და/ან კოლონოსკოპია ბიოფსიით: ჰისტოლოგიურად უნდა გამოვლინდეს გასქელებული სუბლორწოვანი შრე >20 ეოზინოფილით თითოეულ ველში[70]</p> <p>ეოზინოფილური ენტერიტის დიაგნოსტიკებამდე საჭიროა ინფექციების გამორიცხვა.</p>	<p>»კომპიუტერული ტომოგრაფია ან ნვრილი ნაწლავის ენდოსკოპია: გასქელებული რეგიონები შეიძლება შეგვხვდეს ნაწლავური ტრაქტის ნებისმიერ რეგიონში ნიშნები არასპეციფიკურია, რადგან ეს ცვლილებები შეიძლება გამოვლინდეს როგორც კრონის დაავადების, ასევე ავთვისებიანი მდგომარეობის შემთხვევაში.</p>

დიაგნოზი

სშირი			
◇ ეოზინოფილური ენტერიტი			
ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
			»ეოზინოფილების რაოდენობა შრატში: შეიძლება მომატებული იყოს
ქრონიკული იშემიური კოლიტი			
ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
ასაკოვანი პაციენტი, სისხლძარღვოვანი დაავადების ანამნეზით, იღებს ანტიჰიპერტენზიულ მედიკამენტებს; სშირია მუცლის სპაზმური ტკივილი და მსუბუქი-მძიმე ჰემატოქეზია[75] [76] [77]	ძირითადად არასპეციფიკურია; მუცლის მტკივნეულობა შეიძლება გამოვლინდეს და სისხლი შეიძლება შეინიშნოს რექტული გასინჯვისას	»კოლონოსკოპია: ლორწოვანის შესიება/ჰემორაგია ელენთის ნაკვეთის რეგიონში ბიოფსია არასპეციფიკურია და შეიძლება აღინიშნოს ჰემორაგია, თრომბოზი, კრიპტების დესტრუქცია, გრანულაცია.	»მუცლის/მენჯის კტ სკანირება: მსხვილი ნაწლავის გასქელება ელენთის ნაკვეთის ადგილას დიფუზური სისხლძარღვოვანი კალციფიკაციების არსებობა ასევე შეესაბამება ამ დიაგნოზს.
◇ ქირურგიული ბაიფასი ან რეზექცია			
ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე მნიშვნელოვანი ქირურგიული ჩარევის ანამნეზი; დიარეა მოკლე ნაწლავის სინდრომის გამო, გრძელი რეზექციების შემდეგ ან დემინგ სინდრომი, რომელშიც მთავარი დაავადება მოტორული ხასიათისაა[78] [79] [80] [81]	მუცელზე უნდა შეინიშნებოდეს ნაწიბურები გადატანილი ქირურგიული ჩარევის გამო; სხვა მხრივ, გასინჯვა ძირითადად არასპეციფიკურია	»საწყისი ტესტის არარსებობა: დიაგნოზი ეფუძნება ანამნეზს ძირითადად, დიაგნოსტიკური გამოკვლევები საჭირო არ არის; თუმცა, უნდა განიხილებოდეს სხვა დაავადებები, როგორცაა ჭარბი ბაქტერიული ზრდა.	»B12 ვიტამინის დონე თქმის ნაწლავის რეზექციის შემდეგ: დაბალი ამოკვეთილი ნაწილის მიხედვით, შესაძლებელია ნეურისციული დეფიციტების განვითარება; თქმის ნაწლავის რეზექციამ შესაძლოა გამოიწვიოს B12 ვიტამინის დეფიციტი. »რკინა შრატში თორმეტგოჯა/მლივი ნაწლავის დიდი ზომის მონაკვეთის რეზექციის შემდეგ: დაბალი

სეგნალი

სშირი

◇ ქირურგიული ბაიფასი ან რეზექცია

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
			თორმეტგოჯა/მლივი ნაწლავის დიდი ზომის მონაკვეთის რეზექციამ შეიძლება გამოიწვიოს რკინის ან ცხიმების მალაბსორბცია.

იშვიათია

◇ ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული მედიკამენტები, ენტეროპათია

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
პაციენტი არასტეროიდულ ანთების საწინააღმდეგო საშუალებებს შესაძლოა იღებდეს დროის ნებისმიერი მონაკვეთის განმავლობაში, სიმპტომების დაწყებამდე; ვლინდება ნაწლავის ანთებითი დაავადების მსგავსად, თხიერი ან სისხლიანი დიარეით [36] [82] [83] [84] [85]	ძირითადად არასპეციფიკური	»ენდოსკოპია/ კოლონოსკოპია: სპეციფიკური ნიშნების არარსებობა ეს კვლევა უნდა ჩატარდეს სხვა შესაძლო დიაგნოზების გამორიცხვის მიზნით.	»ენდოსკოპია კაფსულით: შესაძლოა გამოვლინდეს ლორწოვანი გარსის პათოლოგიები/ ეროზიები »NSAID პრეპარატის შეწყვეტა: სიმპტომები გამოსწორდება 2-4 კვირაში სიმპტომების გაუმჯობესება მიუთითებს NSAID ენტეროპათიაზე.

მანტილტრირებელი ავთვისებიანი მდგომარეობა

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
სშირია წონის სწრაფი კლება; შეიძლება გამოვლინდეს ანემიის სიმპტომები (მაგალითად დაღლილობა, თავბრუსხვევა); ჰემატოქრია და/ან ტკივილი შეიძლება გამოვლინდეს დაზიანების ზომისა და	ძირითადად არასპეციფიკურია; შეიძლება გამოვლინდეს კახექსია და ანემიის ნიშნები (მაგ. სიფერმკრთალე)	»მუცლის/მენჯის კტ სკანირება: შეიძლება გამოვლინდეს ლორწოვანი გარსის გასქელება ან წარმონაქმნი	»ენდოსკოპია/ კოლონოსკოპია: შეიძლება გამოყენება ბიოფსიის მიზნით თუ წარმონაქმნი შეინიშნა წინა კვლევისას

დიაგნოზი

იშვიათია

მაინფილტრირებელი ავთვისებიანი მდგომარეობა

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
ადვილმდებარეობის მიხედვით[1] [86] [87]			

◇ ცილის დაკარგვით გამოწვეული ენტეროპათია

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
ფეხის შეშუპება, მუცლის ტკივილი, წონის კლება, სისხლდენა სწორი ნაწლავიდან, ანამნეზში იმუნური დეფიციტი განმეორებითი ინფექციებით; თანმდევი დაავადების ანამნეზი (შემავრთებელქსოვილოვანი დაავადება, ამილოიდოზი, გულის შეგუბებითი უკმარისობა, კონსტრიქციული პერიკარდიტი, წყლულოვანი კოლიტი)[88]	კახექსია, სიფერმკრთალე, შეშუპება; თანმხლები დაავადების ნიშნები (შემავრთებელქსოვილოვანი დაავადება, ამილოიდოზი, გულის შეგუბებითი უკმარისობა, კონსტრიქციული პერიკარდიტი, წყლულოვანი კოლიტი)	»განავლის ალფა-1 ანტიტრიფსინი: წარმოდგენილია	»ენდოსკოპია/ კოლონოსკოპია: ფონური ლორწოვანი დაავადების მტკიცებულება

ტრანსპლანტანტისა და მიმღები პაციენტის შეუთავსებლობა

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
ანამნეზში ჩატარებული ალოგენური ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია; შეიძლება გამოვლინდეს ტრანსპლანტაბიიდან 1 წლის ან მეტის შემდეგ; სხვა გამოვლინებები, როგორცაა დერმატიტი და ღვიძლის ჩართულობა, ტიპურია იმ პაციენტებში, რომლებსაც ნაწლავური დაავადება აქვთ[89] [90] [91]	ძირითადად არასპეციფიკურია; ზოგიერთ პაციენტს უვლინდება მაკულოპაპულური გამონაყარი კანზე, რომელიც შეიძლება გადაიზარდოს გენერალიზებულ ერითროდერმაში და მძიმე შემთხვევებში ბულობურ წარმონაქმნებში დესქვამაციით	»დაზიანებული ქსოვილის ბიოფსია (კანი/ღვიძლი/ ნაწლავი): აქტიური კოლიტი ან ენტერიტი, კრიპტების აპოპტოზის გაძლიერება, დეგენერაციული კრიპტები, ეპითელიური რეგენერაცია თუ დიაგნოზი დადასტურდება კანის ან ღვიძლის ბიოფსიით, ხოლო სიმპტომები ტიპურია	

სეგნალი

იშვიათია

ტრანსპლანტანტისა და მიმღები პაციენტის შეუთავსებლობა

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
		ამ მდგომარეობისთვის, ნაწლავის ბიოფსია შესაძლოა არ იყოს საჭირო ყველა შემთხვევაში.[91]	

◇ ჰოჯკინის ლიმფომა

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
მუცლის ტკივილი, გულისრევა, ღებინება, წონის კლება, ანემია, ცხელება, ღამით ოფლიანობა, ცელიაკის ხანგრძლივი ანამნეზი ან ცელიაკის კლინიკური რეციდივი გლუტენის კვებიდან ამოღების პერიოდში კარგი კლინიკური შედეგის შემდეგ[92]	არასპეციფიკურია; ზოგჯერ ვლინდება კახექსია, სიფერმკრთალე, ლიმფადენოპათია, გამონაყარი	»კომპიუტერული ტომოგრაფია: გამოიყენება დაავადების სტადიის განსაზღვრისთვის; შეიძლება გამოვლინდეს ნარმონაქმნი, ლიმფადენოპათია ან მეტასტაზები »ლიმფური კვანძების ბიოფსია: დიაგნოსტიკური ჰისტოლოგია	»ენდოსკოპია/ კოლონოსკოპია: შეიძლება გამოვლინდეს დანყლულება, კვანძები »პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია: კლონური Ig და T-უჯრედოვანი რეცეპტორის გენების გადაწყობა »ენდოსკოპია კაფსულით: ლორწოვანის პათოლოგიური ნიშნები »წვრილი ნაწლავის ღრმა ბიოფსია: დიაგნოსტიკური ჰისტოლოგია

◇ არაჰოჯკინის ლიმფომა

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
მუცლის ტკივილი, გულისრევა, ღებინება, წონის კლება, ანემია, ცხელება, ღამით ოფლიანობა, ცელიაკის ხანგრძლივი ანამნეზი ან ცელიაკის კლინიკური რეციდივი გლუტენის კვებიდან ამოღების პერიოდში	არასპეციფიკურია; ზოგჯერ ვლინდება კახექსია, სიფერმკრთალე, ლიმფადენოპათია, გამონაყარი	»კომპიუტერული ტომოგრაფია: გამოიყენება დაავადების სტადიის განსაზღვრისთვის; შეიძლება გამოვლინდეს ნარმონაქმნი, ლიმფადენოპათია ან მეტასტაზები	»ენდოსკოპია/ კოლონოსკოპია: შეიძლება გამოვლინდეს დანყლულება, კვანძები »პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია: კლონური Ig და T-უჯრედოვანი რეცეპტორის გენების გადაწყობა

დიაგნოზი

იშვიათია

◇ არაჰოჯკინის ლიმფომა

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
კარგი კლინიკური შედეგის შემდეგ ^[92]		»ლიმფური კვანძების ბიოფსია: დიაგნოსტიკური ჰისტოლოგია	»ენდოსკოპია კაფსულით: ლორწოვანის პათოლოგიური ნიშნები »წვრილი ნაწლავის ღრმა ბიოფსია: დიაგნოსტიკური ჰისტოლოგია

◇ ტროპიკული სპრუ

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
ცხოვრება ან მოგზაურობა ენდემურ რეგიონში 1 თვეზე მეტხანს, განსაკუთრებით სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და კარიბის ზღვის რეგიონში; ხშირად ვლინდება სტეატორეა და წონის კლება ^[93] ^[94] ^[95]	ძირითადად არასპეციფიკური	»განავლის კულტურა და სეროლოგიური კვლევა ინფექციებზე: უარყოფითია ხშირ პათოგენებზე ინფექციური დიარეა უნდა გამოირიცხოს ტროპიკული შპრიცის სავარაუდო ყველა შემთხვევაში საერთო პათოგენებისთვის, მათ შორის Giardia, Entamoebae და cryptosporidium. ^[93] გამოკვლევა უნდა ჩატარდეს ადგილობრივი ინფექციური ეპიდემიოლოგიის გათვალისწინებით.	»ენდოსკოპია თორმეტგოჯა ნაწლავის ბიოფსიით: შეიძლება აღინიშნოს მაკროსკოპული ჩაზნექვა; ჰისტოლოგიურად ვლინდება ხაოების დაბლაგვება, კრიპტების ჰიპერპლაზია და ინტრაეპითელური ლიმფოციტების მომრავლება ხაოების ატროფია ძირითადად ნაკლებად მძიმეა, ვიდრე ცელიაკიის დროს და ძირითადად მოიცავს იმ პირებს, რომლებიც არ არიან წინასწარგანწყობილნი ცელიაკიის მიმართ. თუმცა, ამ ორ დაავადებას შორის დიფერენცირება ხშირად საჭიროებს სეროლოგიურ კვლევას ცელიაკიაზე, ზოგჯერ კი ტარდება საცდელი მკურნალობა

იშვიათია

◇ ტროპიკული სპრუ

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
			ტროპიკული სპრუს შესაბამისად.[94]

◇ ლიმფანგიექტაზია/ლიმფური დრენაჟის შეფერხება

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
დიარეა სტეატორეით ან მის გარეშე და გულისრევა/ღებინება ბავშვობაში ან ადრეულ მოზრდილობაში; შეიძლება აღინიშნოს ინფექციის ანამნეზი (მაგ. ტუბერკულოზი), ლიმფომა, კარდიოლოგიური დაავადებები, გარკვეული ქიმიოთერაპიული აგენტების გამოყენება; შეიძლება გამოვლინდეს ადვილი ჩალურჯება ან ქათმის სიბრმავე[96]	შეიძლება გამოვლინდეს პერიფერიული შეშუპება	»ალფა-1 ანტიტრიფსინის გამოყოფა განავლის 24-საათიან ნიმუშში: >24 მლ/დღეში დიარეის გარეშე ან >56 მლ/დღეში გამოხატული დიარეით შეიძლება იყოს ცრუ უარყოფითი მუავას ჰიპერსეკრეციის მდგომარეობებში.	»CT კვლევა ლიმფანგიოგრაფიით: არჩევის რადიოლოგიური კვლევა ნაწლავური ლიმფანგიექტაზიის დროს

◇ ჰიპოპარათიროიდიზმი

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
დაღლილობა, უძილობა, მიალგია, არამყარი დგომა, შფოთვა, დეპრესია, მესხიერების დარღვევა, ყაბზობა, კუნთის სპაზმური ტკივილი, პარესთეზიები, მუცლის ტკივილი; შეიძლება აღინიშნოს ოსტეოპენიის, ოსტეოპოროზისა და თირკმლის კენჭების ანამნეზი	ჰიპერრეფლექსია, ტეტანია, ქირურგიული ნაწიბურები თიროიდექტომიის შემდეგ	»შრატში საკუთრივ ფარისებრახლო ჯირკვლის ჰორმონი (PTH): დაბალი »შრატის კალციუმის დონე: დაბალი »შრატში ფოსფატი: დაბალი ან ნორმის ფარგლებში	»ძვლის რადიოგრაფია: ჰიპეროსტოზი, რბილი ქსოვილების კალციფიკაცია »თავის ტვინის CT: შეიძლება გამოვლინდეს ბაზალური ბირთვების კალციფიკაცია

დიაგნოზი

იშვიათია			
◇ აღისონის დაავადება			
ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
დაღლილობა, სისუსტე, წონის კლება, ანორექსია	კანის ჰიპერპიგმენტაცია, ჰიპოტენზია, თმის ცვენა ქალებში	»სინთეზური ACTH სტიმულაციური ტესტი: დაბალი ბაზალური კორტიზოლი და/ან ენდოგენური კორტიზოლის შესაბამისი მომატების არარსებობა	»თირკმელზედა ჯირკვლების CT: ნორმაშია ან ატროფიულია, ვლინდება კალციფიკაცია ან გადიდება ინფილტრაციის გამო »სისხლის შრატში ელექტროლიტების შემცველობა: დაბალი ნატრიუმი, მომატებული კალიუმი, მომატებული კალციუმი »ინსულინის ჰიპოგლიკემიური ტესტი: პათოლოგიურია
🚩 გასტრინომა			
ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
შეიძლება აღინიშნოს წონის კლების ან ანთლების ანამნეზი; გვხვდება სხვა ენდოკრინული სიმსივნეების თანხლებით სინდრომებში, ოჯახის წევრებში ან ერთ ინდივიდში რამდენიმე სიმსივნის სახით (მაგ. მრავლობითი ენდოკრინული ნეოპლაზიური სინდრომი)[62] [63] [97] [98]	ჰიპერტენზია, მსტენინავი სუნთქვა, რომელიც მიუთითებს ბრონქოსპაზმზე	»შარდში 5-ჰიდროქსინდოლაცეტის 24-საათიანი გამოყოფა: >523 მიკრომოლი/დღე (100 მგ/დღეში) ყველაზე მნიშვნელოვანია კარცინოიდის სინდრომის სადიაგნოსტიკოდ. მაღალი სენსიტიურობა და სპეციფიკურობა. »ნაწლავური ჰორმონების პროფილი უზმომე: პათოლოგიურია ნორმის ფარგლები: გასტრინი <40 პიკომოლი/ლ, გლუკაგონი <50 პიკომოლი/ლ,	»ოქტრეოტიდის სკანირება (სომატოსტატინის რეცეპტორის სინტიგრაფია): რადიოაქტიურობის კონცენტრაცია სიმსივნის უბანში შეუძლია გასტროენტეროპანკრეასული სიმსივნეების უმეტესობის გამოვლენა. შეიძლება იყოს ნაკლებსენსიტიური ღვიძლის დაზიანებებისა და ინსულინომების გამოსავლენად.[62] »გასტრინის დონე: ძალიან მომატებულია

დიაგნოზი

BMJ Best Practice-ის ამ თემის PDF ვერსია ეფუძნება ვებ ვერსიას. ბოლო განახლება: Apr 28, 2023.
 BMJ Best Practice თემები რეგულარულად ახლდება და ყველაზე ახალი ვერსია იხილეთ- bestpractice.bmj.com . ამ მასალის გამოყენება ექვემდებარება ჩვენს [განმარტებას](#). © BMJ Publishing Group Ltd 2024 ყველა უფლება დაცულია.

იშვიათია

გასტრინომა

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
		<p>ნეიროტენსინი <100 პიკომოლი/ლ, პანკრეასის პოლიპეპტიდი <300 პიკომოლი/ლ, ნაწლავის ვაზოაქტიური პეპტიდი <30 პიკომოლი/ლ. თუმცა, შეამონმეთ მაჩვენებლები ადგილობრივ ლაბორატორიაში, რადგან ნორმის ფარგლები შესაძლოა განსხვავებული იყოს.</p>	<p>მაჩვენებელი >477 პიკომოლი/ლ (1000 პიკოგრამი/მლ) მიუთითებს ამ პათოლოგიაზე.[99] სეკრეტინის სტიმულაცია ინვევს გასტრინის დონის პარადოქსულ მატებას გასტრინომასთან ერთად.[97]</p> <p>»სეკრეტინის სტიმულაციური ტესტი: გასტრინის დონის მომატება ≥ 95.4 პიკომოლი/ლ (200 პიკოგრამი/მლ) ან >50% ბაზისურიდან 30 წუთში სეკრეტინის სტიმულაციური ტესტი ინვევს გასტრინის პარადოქსულ მომატებას გასტრინომის დროს.</p> <p>»გლუკოზა და ელექტროლიტები: ცვალებადია</p>

კარცინოიდული სიმსივნეები

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
<p>შეიძლება აღინიშნოს წონის კლების ან ანთოლების ანამნეზი; გვხვდება სხვა ენდოკრინული სიმსივნეების თანხლებით სინდრომებში, ოჯახის წევრებში ან ერთ ინდივიდში რამდენიმე სიმსივნის სახით</p>	<p>ჰიპერტენზია, მსტვინავი სუნთქვა, რომელიც მიუთითებს ბრონქოსპაზმზე</p>	<p>»შარდში 5-ჰიდროქსინდოლაცეტატის 24-საათიანი გამოყოფა: >523 მიკრომოლი/დღ (100 მგ/დღეში) ყველაზე მნიშვნელოვანია კარცინოიდის სინდრომის</p>	<p>»ოქტრეოტიდის კანირება (სომატოსტატინის რეცეპტორის სინტიგრაფია): რადიოაქტიურობის კონცენტრაცია სიმსივნის უბანში შეუძლია გასტროენტეროპანკრეასული</p>

დიაგნოზი

იშვიათია

კარცინოიდული სიმსივნეები

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
(მაგ. მრავლობითი ენდოკრინული ნეოპლაზიური სინდრომი)[62] [63] [97] [98]		<p>სადიაგნოსტიკოდ.[99] მალალმგრძობიარე და - სპეციფიკური.</p> <p>»ნაწლავური ჰორმონების პროფილი უზომზე: პათოლოგიურია ნორმის ფარგლები: გასტრინი <40 პიკომოლი/ლ, გლუკაგონი <50 პიკომოლი/ლ, ნეიროტენსინი <100 პიკომოლი/ლ, პანკრეასის პოლიპეპტიდი <300 პიკომოლი/ლ, ნაწლავის ვაზოაქტიური პეპტიდი <30 პიკომოლი/ლ. თუმცა, შემონმეთ მაჩვენებლები ადგილობრივ ლაბორატორიაში, რადგან ნორმის ფარგლები შესაძლოა განსხვავებული იყოს.</p>	<p>სიმსივნეების უმეტესობის გამოვლენა. შეიძლება იყოს ნაკლებსენსიტიური ღვიძლის დაზიანებებისა და ინსულინომების გამოსავლენად.[62]</p> <p>»გასტრინის დონე: ძალიან მომატებულია მაჩვენებელი >477 პიკომოლი/ლ (1000 პიკოგრამი/მლ) მიუთითებს ამ პათოლოგიაზე. სეკრეტინის სტიმულაციური ტესტი ინვევს გასტრინის პარადოქსულ მომატებას გასტრინომის დროს.[97]</p> <p>»სეკრეტინის სტიმულაციური ტესტი: გასტრინის დონის მომატება ≥ 95.4 პიკომოლი/ლ (200 პიკოგრამი/მლ) ან >50% ბაზისურიდან 30 წუთში სეკრეტინის სტიმულაციური ტესტი ინვევს გასტრინის პარადოქსულ მომატებას გასტრინომის დროს.</p> <p>»გლუკოზა და ელექტროლიტები: ცვალებადია</p>

იშვიათია

ვიკომები

ანამნეზი.	გასინჯვა	1-ლი ტესტი	სხვა კვლევები
